პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ФИЗКУЛЬТУРА И СПОРТ

№ 20 (5050)

1974 წ. 29 იანვარი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘ

პორტლენდი, 28 იანვარი. (ტასი). დარბაზებისთვის (ოლიმპიადის კვრაში ამაყი ოლიმპიელი წევა დაამყარა მიუნჰენის ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელმა ჯ. ვუდსმა (აშშ). მისი შედეგია 21 მეტრი და 30 სანტიმეტრი. ძველი მიღწევაც ვუდსს ეკუთვნოდა და ახლანდელს, 3 სანტიმეტრით ჩამორჩებოდა.

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ ᲙᲣᲑᲐᲨᲘ

28 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტრო რუსის მიწვევით მოსკოვიდან კუბის რესპუბლიკაში გაემგზავრა ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. შჩერბიცკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. რომანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. კატუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ბ. პ. ბუგაევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, საკადესის გენერალური დირექტორი ლ. მ. ზამიატინი.

ᲞᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ — ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ განიხილა და დაამტკიცა 1973 წლის საკავშირო, ევროპის, მსოფლიო ჩემპიონატებში ოლიმპიური სახეობებში მოპოვებული შეედგების მიხედვით გამართული ფიზკულტურული ორგანიზაციების საკავშირო შეჯიბრების შედეგები. მოკავშირე რესპუბლიკების, ქალაქების — მოსკოვისა და ლენინგრადის ჯგუფში კოლეგიამ გამარჯვებულად ცნო და გარდამავალი პრიზით და საპატიო სიგელით დაჯილდოვა: რსფსრ (ოლქები, მხარეები, ავტონომიური რესპუბლიკები, I ადგილი), მოსკოვი (II), უკრაინის სსრ (III), ლენინგრადი (IV), ბელორუსიის სსრ (V).

სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ჯგუფში გარდამავალი პრიზები და საპატიო სიგელები გადაეცემათ: სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს (I ადგილი), „დინამოს“ (II), „ბურევესტნიკის“ (III) ცენტრალურ საბჭოებს. საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ: „ტრუდის“ (IV ადგილი), „სპარტაკის“ (V) ცენტრალური საბჭოები.

ქალაქების, მოსკოვისა და ლენინგრადის ოლქების ფიზკულტურული ორგანიზაციების ჯგუფში გარდამავალი პრიზებითა და საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ: კიევი (I ადგილი), მინსკი (II), თბილისი (III); საპატიო სიგელებით — მოსკოვის ოლქი (IV ადგილი), რიგა (V).

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲗᲐ ᲐᲗᲔᲣᲚᲨᲘ ᲮᲣᲗᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘᲐ

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ, 27 იანვარი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დასასრულს უახლოვდება სამთომოთხილამურეთა საკავშირო თასის გათამაშების მორიგი ეტაპის შეჯიბრება გაზეთ „ლელოს“ პრიზზე.

ხვალ კობტაგორაზე ჩატარდება ქალთა ასპარეზობა სპეციალურ სლალომში და საბოლოო შედეგებიც შეჯამდება. გუშინ და დღეს კი გამოვლინდნენ გამარჯვებულნი გიგანტურ და სპეციალურ (ვაუები) სლალომში.

საინტერესო იყო ვაუთა შეჯიბრება გიგანტურ სლალომში. ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით, რომ 1350-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 330 მ, 46 კარი) პირველი დაშვების მერე საქართველოს გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი ა. სტეპანიანი („სპარტაკი“) სსრ კავშირის ექს-ჩემპიონთან, მოსკოველ სპორტის ოსტატ ა. ტორმოსინთან მხოლოდ 0,02 წამს აგებდა და მეორე დაშვების შემდეგ შეიძლებოდა დასწეოდა კიდეც მთავარ მეტოქეს. მაგრამ ასე არ მოხდა: ამჯერად სტეპანიანი ამავე ტრასაზე (48 კარი) დღის მეექვსე შედეგს (1.22,08) დასჯერდა და საბოლოოდ IV ადგილზე გავიდა — 2.49,01.

ამჯერად ყველაზე უკეთესი შედეგი ლენინგრადელ სპორტის ოსტატ ნ. სნეიუროვს („შრომითი რეზერვები“) ჰქონდა — 1.20,24. ამ შედეგმა ლენინგრადელ სპორტსმენს საბოლოო ჯამში II ადგილი მოაპოვებინა — 2.48,88. კარგად დაეშვა სპორტის ოსტატი ი. ნასყიდაშვილიც („ბურევესტნიკი“, — 1.21,15), მაგრამ, ვინაიდან წინადღით ტრასა ვერ დაამთავრა, ამ სახეობაში იგი საბოლოოდ შეუფასებელი დარჩა.

რაც შეეხება ტორმოსინს, იგი ამჯერად პირველი დაეშვა და დღის მეოთხე შედეგი აჩვენა — 1.21,44. საბოლოოდ სნეიუროვს მან 0,51 წამით აჯობა და „ლელოს“ პრიზი დაისაკუთრა. III ადგილი ხვდა ლენინგრადელ ა. რიაბინინს („შრომითი რეზერვები“) — 2.48,88.

ქალთა 1350-მეტრიან ტრასაზე 52 კარი მოეწყო (სიმაღლეთა სხვაობა იგივე იყო, რაც ვაუთა შეჯიბრებაში). ბრძოლაში სულ 16 სპორტსმენი ჩაება. მოსალოდნელი იყო, რომ ყველას აჯობებდა ამას წინათ ალმა-ათაში „ვერცხლის ედელვაისის“ პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში გამარჯვებული მინსკელი სტუდენტი ტ. ზელოვა-ხრაპაკოვა (ქალთა შეჯიბრებაში გამარჯვების ბედს თითო დაშვება წყვეტდა). მინსკელი სპორტსმენი ურიგოდ არ გამოსულა (1.36,36), მაგრამ ამ ასპარეზობაში სამმა მონაწილემ მაინც აჯობა. ბელორუსელმა სპორტის ოსტატმა ნ. მულიუკოვამ, რომელმაც სტარტი ხრაპაკოვას მერე აიღო, მისი შედეგი 2.30 წამით გაუმჯობესა.

კარგად დაეშვა ზელოვა-ხრაპაკოვას და ნადეუდა — 1.36,57. კიდევ უფრო უკეთ გამოვიდა ხ. ნასყიდაშვილი („კოლმეურნე“), რომელმაც ხრაპაკოვასთან მხოლოდ 0,02 წამი წაგო. მერე მინსკელს დიდხანს ვეღარავინ მიუახლოვდა.

ბოლოს ხრაპაკოვას დამარცხება ჯერ მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ნ. მერკულოვამ („სპარტაკი“) მოახერხა — 1.35,78, მერე კი, ასპარეზობის ფარდის დაშვების წინ, მას ბაკურიანელმა თ. კოზანაშვილმაც („დინამო“) აჯობა—1.36,32.

ამრიგად ჩვენი გაზეთის ოთხ მთავარი პრიზიდან ორის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

დღეს გაიმართა შეჯიბრება სპეციალურ სლალომში. 550-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 160 მ) ისევ ვაუები ასპარეზობდნენ.

ბაკურიანის „დინამოს“ ბავშვთა სპეციალიზებული სკოლის მოსწავლეებმა კვირა დღით ისარგებლეს და შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს (წინა დღეებში ისინი სარბიელზე არ გამოსულან, ვინაიდან საშუალო სკოლის დირექციამ ბავშვებს ამის ნება არ დართო). მსაჯთა კოლეგიამ ნორჩი სპორტსმენების თხრვნა დაკმაყოფილა. სტარტზე გამოვიდა 1959-60 წლებში დაბადებული შვიდი მოსწავლე, რომელთა შორის „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს წლევანდელ ჩემპიონატში გამარჯვებული, მესამეთანრიგოსანი ვიქტორ სანაკოევიც იყო. მას არც აქ შეურცხვენია თავი: ორი ცდის ჯამში 2.09,37 აჩვენა, აჯობა 13 პირველთანრიგოსანს, სპორტის ოსტატობის კანდიდატსა და სპორტის ოსტატს.

„ლელოს“ პრიზისთვის ბრძოლაში პირველმა ცდამ ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ნ. სნეიუროვი დაიწინაურა — 58,61. ნასყიდაშვილი მასთან 0,17 წამს აგებდა. მომდევნო ადგილებზე იყვნენ საქართველოს სპორტსმენები: სპორტის ოსტატები რ. აკოფოვი („ბურევესტნიკი“, 59,88) და ა. სტეპანიანი (1.00,03), პირველთანრიგოსანი ლ. ბანდური (თბილისი, ასკ, 1.00,47). მეორე ცდაზე ლიდერებიდან ნასყიდაშვილი უველაზე ადრე ეშვებოდა და კარგადაც დაიწყო, მაგრამ მე-40 კარის გავლისას დაეცა და ძვირფასი დრო დაკარგა. დისტანციის დამთავრებას მან 1.04,0 მოანდომა.

ბედმა არც სნეიუროვს გაუღიმა — 1.03,88. სამაგიეროდ, სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა სტეპანიანმა (59,84), რომელიც ლიდერი გახდა. მაგრამ აი, აკოფოვმა სტარტიდანვე დიდი სისწრაფით დაიწყო დაშვება. საბოლოოდ კიევის მიკროხელსაწყოების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ დამზადებულმა ელექტროწამომზომმა 55,02 აღნიშნა. ამრიგად, აკოფოვს ორი ცდის ჯამში საუკეთესო დრო — 1.54,90 — აღმოაჩნდა და „ლელოს“ პრიზიც მას დარჩა. II ადგილი დაიკავა სტეპანიანმა — 1.59,87, III — ლ. ბანდურმა — 2.00,34. ამ უკანასკნელმა პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმატივი.

უძლიერესთა ათეულში შევიდა საქართველოს კიდევ ორი წარმომადგენელი: ი. ნასყიდაშვილი (V ადგილი. 2.02,78) და ლ. თვაური („კოლმეურნე“, IX ადგილი, 2.05,88).

გიგანტურ სლალომში გამარჯვებული ტორმოსინი დღეს შეჯიბრებას პირველივე ცდაზე გამოეთიშა.

ხვალ ქალები სპეციალურ სლალომში ასპარეზობით დაამთავრებენ ტურნირს.

ო. ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ა. ᲢᲝᲠᲛᲝᲡᲘᲜᲘ ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲣᲠ ᲡᲚᲐᲚᲝᲛᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ „Ს�პᲐᲠᲢᲐᲙᲘ“

მოსკოვსა და სოჭში დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ნახევრის მატჩები.

მოსკოვის ჯგუფის ბოლო ორ ტურში ორი გამარჯვება მოიპოვა ლიდერმა — ლენინგრადის „სპარტაკმა“. მან ჯერ ალმა-ათის „ბურევესტნიკი“ დაამარცხა (77:49), მერე კი — მოსკოვის „სერპ ი მოლოტი“ (81:43).

ზედიზედ ორი გამარჯვება იზეიმა სვერდლოვსკის „ურალმაშმაც“. მოსკოვის დინამოელებთან მისი უპირატესობა 4 ქულით გამოიხატა (52:48). ასეთივე სხვაობით მოუგო მან ვილნიუსის „კიბირკშტისს“ (54:50), სხვათა შორის, სვერდლოვსკის „ურალმაში“ ერთადერთი გუნდია, რომელმაც მეორე წრის ხუთივე მატჩი მოიგო.

ამ ჯგუფის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „კიბირკშტისი“—„სერპ ი მოლოტი“ 68:61, „დინამო“ (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა) 79:62.

ფინიში ორი გამარჯვებით აღნიშნა სოჭის ჯგუფში უძლიერესმა, მოსკოვის ოლქის „სპარტაკმაც“. სპარტაკელებმა დაამარცხეს ფრუნზეს „სტროიტელი“ — 72:63 და კიევის „დინამო“ — 69:64.

თავის მხრივ უკრაინელმა კალათბურთელებმა, დაძაბულ ბრძოლაში ფარხმალი დააყრევინეს რიგის ტტტ-ს — 75:71.

გაგაცნობთ სხვა შეხვედრათა შედეგებს: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 60:51, „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი)—„სტროიტელი“ (ფრუნზე) 69:57, ტტტ (რიგა) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 64:52.

15 თამაშის შემდეგ (ჩემპიონატის დამთავრებამდე დარჩა კიდევ 6 ტური, რომლებიც მოგვიანებით ჩატარდება) ლიდერთა ხუთეული ასე გამოიყურება: „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — 14 ქულა, „ურალმაში“ — 13, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — 13, „დინამო“ (კიევი) — 9, „დინამო“ (მოსკოვი) — 9.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ ᲢᲣᲠᲜᲔ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

რიო-დე-ჟანეირო, 26 იანვარი. სსრ კავშირისა და ბრაზილიის კალათბურთელ ვაუთა ეროვნული ნაკრები გუნდების მეხუთე კალენდარულმა მატჩმა წარმატება მასპინძლებს მოუტანა — 81:74 (42:39).

მატჩი დაიწყო ბრაზილიელთა ენერგიული იერიშებით, მაგრამ მე-6 წუთისთვის საბჭოთა კალათბურთელები დაწინაურდნენ—11:6. ამის შემდეგ კიდევ 10 წუთის მანძილზე წინ სტუმრები იყვნენ, მაგრამ ტაიმის მიწურულს ბრაზილიელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და შეხვედრის პირველი ნახევარი მოიგეს.

შესვენების შემდეგ თამაში კვლავ გათანაბრდა, მაგრამ მცირე ხნით. ბრაზილიელებმა გააძლიერეს შეტევები, ტემპს უმატეს და სასურველ მიზანსაც მიაღწიეს. სსრ კავშირის ნაკრებმა სუსტად ჩაატარა მატჩის ბოლო წუთები. კალათბურთელები შესამჩნევად დაიღალნენ, დაკარგეს სიფხიზლე, სიზუსტე, და ამიტომაც დამარცხდნენ.

რიო-დე-ჟანეირო. 27 იანვარი. მეექვსე მატჩი საბჭოთა კალათბურთელებმა მოუგეს ბრაზილიის ნაკრებს — 81:80 (46:32). ეს ბოლო შეხვედრა გაიმართა რიო-დე-ჟანეიროს გარეუბანში — ნიტეროში.

ბრძოლა ამჯერადაც უაღრესად დაძაბული და მძაფრი გამოდგა. მეათე წუთამდე სტუმრების უპირატესობა 2 ქულით განისაზღვრებოდა, მერე კი სხვაობა გაიზარდა.

მეორე ნახევარში აქტიურად და შედეგიანად ითამაშა ახალგაზრდა ტკაჩენკომ. მისი ზუსტი სროლების წყალობით საბჭოთა გუნდი 20 ქულით დაწინაურდა — 54:34. სწორედ ამ მომენტში „დაფაცურდნენ“ მსაჯები და სულ მალე ანგარიში გათანაბრდა — 75:75. დარჩენილ დროში საბჭოთა კალათბურთელებმა შეინარჩუნეს მინიმალური უპირატესობა.

სსრ კავშირის ნაკრებმა დაამთავრა ტურნე ბრაზილიაში. იქ მან 2 შეხვედრა მოიგო და 4-ჯერ დამარცხდა. ახლა საბჭოთა გუნდი თავისუფლების კუნძულზე გაემგზავრა.

ფიზკულტურასა და სპორტში ახალი წარმატებებით ვუპასუხოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი!

მიზანი: სპარტაკიადებისთვის მზადება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვით აღფრთოვანებული ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ენერგიას არ იშურებენ, რათა თავიანთი მიღწევებით ასახელონ დედასამშობლო, ახალ-ახალი წარმატებებით აღნიშნონ მეხუთე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი.

შრომითი აღმავლობის ტალღამ მოიცვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაც. ფაბრიკებში, ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებში არ წყდება შრომის ყიყინა, იქმნება სახალხო დოვლათი, რათა საბჭოთა ადამიანებმა კიდევ უფრო ბედნიერად იცხოვრონ, კიდევ უფრო გაძლიერდეს მსოფლიოს მშვიდობის მედროშე — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. შრომითს ავანგარდში სხვებთან ერთად დგანან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფიზკულტურელები და სპორტსმენები, რომლებიც საწარმოებში, საკოლმეურნეო მინდვრებში, დაწესებულებებში საქმიანობის შემდეგ სპორტულ მოედნებზე თუ დარბაზებში, სტადიონის ბილიკებზე თუ ხტომისა და ტყორცნის სექტორებში იკაუებენ სხეულს, რათა მეორე დღეს მეტი ენერგიით შეუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში აღებულ ვალდებულებათა განხორციელებას.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფიზკულტურელთა მრავალთასიანი არმიის შრომითი და სპორტული საქმიანობის გაცნობის მიზნით „ლელოს“ კორესპონდენტი შეხვდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ჯ. გუბაზს და სთხოვა მას პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

● თქმა არ უნდა, ახალი შრომითი აღმავლობა დღეს, ისევე როგორც ყველგან, თქვენს ავტონომიურ რესპუბლიკაშიც იგრძნობა. როგორ შრომობენ აფხაზეთის ფიზკულტურელები იმ საპასუხისმგებლო ამოცანების შესრულებისთვის, რომლებიც ჩვენს წინაშე დააყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმმა, რით უპასუხებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი?

— ამ მნიშვნელოვან მოვლენას თავიდანვე გამოეხმაურნენ ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები, რომელთა რიგებში ათასობით ფიზკულტურელი და სპორტსმენია. ფაბრიკა-ქარხნებიდან, საკოლმეურნეო მინდვრებიდან მოდის სასიხარულო ცნობები ახალგაზრდობის შრომითი წარმატებების შესახებ. დაზგებთან, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე ფიზკულტურელები და სპორტსმენები გულმოდგინედ შრომობენ, რომ თავი არ შეირცხვინონ, მუდამ მოწინავეთა რიგებში იყვნენ.

● ამჟამად მთელი საბჭოთა ქვეყნის ფიზკულტურული ორგანიზაციების უპირველესი საზრუნავია სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადება და ამ შეჯიბრებაში წარმატებით მონაწილეობა. ამ მხრივ რა კეთდება აფხაზეთში?

— ზემდგომი ორგანოების მიერ დადგენილების მიღებისთანავე ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში გაჩაღდა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადება და ამ შეჯიბრებაში წარმატებით მონაწილეობა. ამ მხრივ რა კეთდება აფხაზეთში?

— ზემდგომი ორგანოების მიერ დადგენილების მიღებისთანავე ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში გაჩაღდა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადება. შედგა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე შ. თათარაშვილი თავკაცობს. საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა უკვე იციან, რა უნდა გააკეთონ და საქმეც წინ მიდის. განზრახული გვაქვს წლეულსვე ჩავატაროთ საოლქო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები 5-6 სახეობაში, ამ სახეობებში, ჩვენი აზრით, აფხაზეთს უფრო მეტი შანსი აქვს საქართველოს სპარტაკიადაში წარმატებისა. სპორტსმენებსა და მწვრთნელებს მეტი დრო დარჩებათ საქართველოს სპარტაკიადისთვის ნაკრები გუნდების უკეთ მომზადებისთვის.

● ცნობილია, რომ აფხაზეთის ფიზკულტურელები და სპორტსმენები განებივრებული არ არიან კეთილმოწყობილი სპორტული ბაზებით, 12 წელია ჭიანურდება სოხუმის „დინამოს“ სტადიონის მშენებლობა, საშველი არ დაადგა დოსაფის საცურაო აუზის გათბობის საქმეს.

— რაც თქვით, სრული სიმართლეა. ჩვენი ახალგაზრდობა მართლაც ძალიან განიცდის სპორტული ბაზების ნაკლებობას. მაგალითად, დიდხანს მწვრთნელები იძულებული იყვნენ მოცურავეები სოჭში ეტარებინათ აუზში სავარჯიშოდ. ამჟამად საქმე გამოსწორდა; ჩვენს სპორტსმენებს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმის საცურაო აუზში ვარჯიშის ნება დართეს და სპორტის ამ სახეობაში საქმე წინ წავიდა. სპორტის ბევრი სახეობის წარმომადგენლები — ჩვენი ნაკრები გუნდების წევრები — ეშერის ოლიმპიური სპორტული კომპლექსის ბაზებზე იმაღლებენ ოსტატობას.

● საქართველოს და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისთვის მზადების პერიოდში ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი თუ გრძნობს სპორტული საზოგადოებების მხარდაჭერასა და დახმარებას?

— რასაკვირველია! ოდესის ფიზკულტურული ორგანიზაციის მიბაძვით სპორტულ საზოგადოებებზე გავანაწილეთ სახეობები. ამჟამად „კოლმეურნეს“, „დინამოს“, „განთიადს“ და სხვებს დავალებული აქვთ 5-6 სპორტული სახეობისთვის ზრუნვა. მათ უნდა მოამზადონ გუნდები საქართველოს სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად. ჩვენმა სპორტსაზოგადოებებმა ამ ახალ დავალებას კარგად გაართვეს თავი და იმედია, კარგ შედეგებსაც მოვიპოვებთ. ისე არ გამიგოთ, რომ სპორტსაზოგადოებებს არ ეკნებათ საშუალება სხვა სპორტული სახეობები დანერგონ და განავითარონ. არა, მაგრამ მთავარი ყურადღება მათ მაინც დაკისრებულ სახეობებს უნდა მიაქციონ.

● ჩვენ გვსმენია თქვენი ფიზკულტურული ორგანიზაციების კარგი მუშაობა. ვიცით, რომ ბევრგან დიდად აფასებენ ფიზკულტურასა და სპორტს და წარმატებებიც შესამჩნევი აქვთ. ხომ არ დაგვისახელებთ ზოგიერთ ასეთ მოწინავე ორგანიზაციას?

— სიამოვნებით! პირველ ყოვლისა მინდა აღვნიშნო ქარხანა „სოხუმხელსაწყოს“ კოლექტივი. აქ დირექციის (დირექტორი ა. მიქაძე) ხელშეწყობით ბევრი სასახელო წარმატება მოიპოვეს. ქების ღირსი არიან სოხუმის საგალანტერეო ფაბრიკის (ი. პაპასკუა), № 11 სამკერვალო ფაბრიკის (ი. შარია) და სხვა კოლექტივები. დიდ დახმარებას გვიწევენ კომკავშირული ორგანიზაციები, რომლებთან ერთადაც ბევრ საინტერესო ერთობლივ სპორტულ ღონისძიებას ვატარებთ. ჩვენი სამუშაო ფრონტი მარტო მომავალ სპარტაკიადებზე ზრუნვით როდი შემოიფარგლება: ვიბრძვით სპორტის მასობრიობისთვის, იმისთვის, რომ მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნის მოპოვებისთვის ბრძოლაში ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდობის უმრავლესობა ჩაებას.

პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის საპასუხოდ აფხაზეთის ფიზკულტურული ორგანიზაციები და სპორტსმენები კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებენ, რათა საბჭოთა სპორტმა ახალ-ახალ გამარჯვებებს მიაღწიოს მსოფლიო ასპარეზზე.

დაბოლოს, აფხაზეთის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების სახელით დიდ კმაყოფილებას გამოვთქვამ, დიდ მადლობას ვუხდი კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას იმის გამო, რომ ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკა დაჯილდოებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, ფულადი პრემიით. ეს მაღალი ჯილდო ავალებთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებს კიდევ უფრო ამრავლონ შრომითი წარმატებები. საბჭოთა აფხაზეთის მოწინავე მშრომელი ადამიანების რიცხვში, მენდეთ, რომ ცოტა რიდია ფიზკულტურელი და სპორტსმენი.

პრეზიდენტთა მატჩები

პეტროსიანი — კორჩნოი 1:0

ჰალმა-დე-მალიორკა (ესპანეთი). ზედიზედ ოთხი ყაიმის შემდეგ პეტროსიან — პორტიშის მატჩშიც გაიხსნა ანგარიში: საბჭოთა დიდოსტატმა V პარტიაში გაიმარჯვა. საზღვარგარეთის სატელეგრაფო სააგენტოები იტყობინებიან, რომ პეტროსიანმა ჩინებულად წარმართა ბრძოლა. მთელი პარტიის მანძილზე უპირატესობა მის მხარეს იყო. სპეციალისტები ამბობენ, ეს პარტია მატჩში საუკეთესოაო.

მეკინგი — კორჩნოი 0:1

ოზასტა (აშშ). მეკინგ — კორჩნოის მატჩის VI პარტიაში მხოლოდ 17 სვლა გაკეთდა. მე-18 სვლაზე მეტოქენი დაუავდნენ. ეს იყო მატჩის ყველაზე მშვიდობიანი შეხვედრა.

სპასკი — ბირნი 2:0

სან-ხუანი (პუერტო-რიკო). გაწირიგით, კვირა დღეს მეტოქენი ისვენებენ. პარტიები თამაშდება ორშაბათს, ოთხშაბათს, და პარასკევს. გადადებული პარტიების დასამთავრებლად შეხვედრები ეწყობა სამშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს.

გარაკოვი — პოლუგაევსკი 1:0

ზოსკოვი. 27 იანვარს პოლუგაევსკის ავადმყოფობის გამო მატჩის VI პარტია არ შედგა. დღეს მეტოქენი ისვენებენ.



ბიატლონისტებმა დავა დაამთავრეს

რაუბიჩი, 27 იანვარი. მინსკის ამ გარეუბანში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ბიატლონში. 10 კმ-ზე „სპრინტერულ რბენაში“ პირველი იყო გორკელი ნ. კრუგლოვი — 45.08,06. II ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ნ. პუზანოვმა — 45.17,53, III — ასევე ლენინგრადელმა ვ. დოკუჩაევმა — 46.35,37. იუნიორებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ა. კასმუ (ტალინი) — 47.53,28, 2. ბ. ლეპიცკი (ლენინგრადი) — 48.17,35, 3. ს. კოლოდეზეევი (ნოვოსიბირსკი) — 48.25,99.

4×7,5 კმ ესტაფეტაში თასისთვის ბრძოლა გაიმართა „დინამოს“ I და II, აგრეთვე, „ზენიტის“ გუნდებს შორის. საპატიო ჯილდო დაისაკუთრა „დინამოს“ მეორე გუნდმა — 2:11.27,24, II ადგილი „დინამოს“ პირველ კოლექტივს ხვდა — 2:11.44,45. III ადგილი ზენიტელებმა დაიკავეს — 2:13.05,23.

იუნიორები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 3×7,5 კმ ესტაფეტაში. ყველას აჯობა „დინამოს“ პირველმა გუნდმა, რომელმაც მანძილის დაფარვას 1:52.11,0 მოანდომა. გამარჯვებულს 6 წამით ჩამორჩა შეიარაღებული ძალების გუნდი. მესამე იყო „ბურევესტნიკი“ — 1:54.0.



● **მოსკოვი, 27 იანვარი.** საბჭოთა აკრობატების გამარჯვებით დამთავრდა ტრადიციული სატელევიზიო მატჩი. ჩვენმა სპორტსმენებმა დააგროვეს 68,45 ქულა. პოლონეთის გუნდი მეორე იყო (68,15), ბულგარეთისა — მესამე (67,95).

● **ცესიში, 27 იანვარი.** ლატვიის ამ ქალაქში დამთავრდა საკავშირო თასის გათამაშება საცივგაო სპორტში. გუნდური I ადგილი მოიხვეჭეს ლენინგრადელებმა, რომლებმაც ყველა რბოლის ჯამში 30 წამით აჯობეს ლატვიელებს. III ადგილი წილად ხვდათ უკრაინელ სპორტსმენებს. ერთადგილიანი ციგებით შეჯიბრებაში (3 რბოლის ჯამში) გაიმარჯვა მოსკოველმა ნ. შაშკოვამ — 2.49,46, ვაკეებში პირველი იყო უკრაინელი ი. კორიაკინი — 2.46,65. ორადგილიანებით შეჯიბრებაში (ერთი რბოლა) ყველას აჯობეს ლენინგრადელებმა ვ. ილინმა და ს. პროკოფიევმა — 49,4.

ცსკა-ს ჩოგბურთის სასახლეში მოეწყო მოსკოვის დიდ ჩემპიონატი, რომელშიც ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელები მონაწილეობდნენ.

სურათზე: ქალთა წყვილების თანრიგში გამარჯვებული ო. მოროზოვა (მარჯვნივ) და ზ. ივანოვა.

ა. იაკოვლევის ფოტო (საკადესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲓᲠᲝᲡ...

ათასობით მოსკოველი სტუდენტი თავისუფალ დროს გატაცებით ვარჯიშობს სპორტში. მათს განკარგულებაშია საუკეთესო სპორტული ბაზები, საცეგურაოები, დარბაზები, მინეუები.

სტუდენტთა შორის განსაკუთრებით პოპულარულია ცხენოსნობა. მოსკოვის უნივერსიტეტის, საინჟინრო-სამშენებლო, ფიზკულტურისა და სხვა ინსტიტუტების სტუდენტები მეცადინეობენ მოსკოვის საცხენოსნო-სპორტულ სკოლაში, რომელიც ეზმაილოვის პარკში მდებარეობს. ს. ორჯონიკიძის სახელობის გეოლოგიურ-საძიებო ინსტიტუტის სტუდენტებისთვის კი ცხენოსნობა სავალდებულო დისციპლინაა. ვეტერინარულ აკადემიაში ცხენოსნობაში მეცადინეობას მეცხენეობის კათედრის პროფესორი ი. ბობილიოვი ხელმძღვანელობს.

სურათებზე: მარცხნივ — ვეტერინარული აკადემიის I კურსის სტუდენტი ლ. შატკო; მარჯვნივ — მოსკოვის ეწერგეტიკული ინსტიტუტის სტუდენტები საწვრთნელ მეცადინეობაზე.

ვ. კვანინის ფოტო (საკდესი).



ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲙᲣᲠᲩᲐᲢᲝᲕᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ ᲛᲘᲔᲫᲚᲕᲜᲐ

მოსკოვი. სერებრიანი ბორის მახლობლად მოეწყო მოტოკროსი, რომელიც სამგზის სოციალისტური შრომის გმირის, აკადემიკოს ი. კურჩატოვის ხსოვნას მიეძღვნა. ეს შეჯიბრება მოსკოველ ავტომრბოლელთა ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპია სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის წინ, რომელიც დიდ სამამულო ომში საბჭოთა ქვეყნის გამარჯვების 30 წლისთავს ეძღვნება.

სურათზე: მოტოკროსის დისტანციაზე.

ბ. იაკოვლევის ფოტო (საკდესი).

ᲡᲐᲯᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐᲨᲘ

ᲐᲠᲐᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ძვირფასო რედაქციავ! ჩვენ ბევრი რამ გვსმენია სპორტის ისეთი სახეობების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირში დანერგილი არ არის. ასეთია, მაგალითად, ბეისბოლი, გოლფი და ა. შ. საინტერესოა, ტარდება თუ არა ოფიციალური შეჯიბრებები ან ჩემპიონატები ამ სახეობებში?

ო. არჩვაძე,
თ. ბაბუნაშვილი.

ქუთაისი.

მსგავს შეკითხვებს რედაქცია ხშირად იღებს, მაგრამ აქამდე ბევრი ასეთი სახეობის შესახებ ცნობები არ გაგვაჩნდა და ამიტომაც ჩვენი მკითხველების ინტერესს ვერ ვაკმაყოფილებდით.

დღეს ჩვენ საშუალება მოგვეცა ზოგიერთ შეკითხვაზე გავცეთ პასუხი.

ავიღოთ თუნდაც ბეისბოლი. სპორტის ეს სახეობა ფართოდაა გავრცელებული ამერიკის კონტინენტზე. ტარდება ბევრი ტურნირი, შეჯიბრება და ჩემპიონატიც კი როგორც მოყვარულთა, ისე პროფესიონალთა შორის. შარშან მსოფლიო ჩემპიონობა პროფესიონალებში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა მოიპოვეს, მოყვარულთა შორის კი — კუბის სპორტსმენებმა. ევროპაში ბეისბოლი პოპულარული არ არის, და ამიტომ ძველი სამყაროს ჩემპიონატი სპორტის ამ წმინდა ამერიკულ სახეობაში არ ტარდება.

საერთოდ კი დიდი ტურნირების, თუ გნებავთ, ჩემპიონატების ჩატარებას სპორტის არაოლიმპიურ სახეობებში მაშინ აქვს აზრი, თუ ამ სახეობებს სხვადასხვა ქვეყანაში მისდევენ. სწორედ ამ მიზეზით არ ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი ამერიკულ ფეხბურთში, თუმცა იგი ყველაზე პოპულარული სპორტია შეერთებულ შტატებში.

სულ სხვა საქმეა ბილიარდი. იგი გავრცელებულია მსოფლიოს ყველა კუთხეში და ამიტომ რეგულარულად ტარდება არა მარტო მსოფლიო ჩემპიონატები, არამედ ევროპის პირველობებიც. მაგრამ ბილიარდი, როგორც ჩანს, უფრო ევროპული სპორტია. ამიტომაც არის, რომ ჩემპიონთა სიაში თითქმის მხოლოდ ევროპელებს ვხვდებით.

მსოფლიო ჩემპიონატი ბილიარდის ორ სახეობაში ეწყობა, ევროპისა კი — ოთხში. შარშან მსოფლიოს უძლიერესი ბილიარდისტების სახელი მოიხვეჭეს ბელგიელმა კოილებანსმა და ჰოლანდიელმა ვოდტინკმა. ეს უკანასკნელი ევროპის ჩემპიონიც გახდა სხვა სამ სპორტსმენთან — ბელგიელ დეპეპთან, ჰოლანდიელ დიელისთან და ესპანელ გალვესთან ერთად.

ასევე წმინდა ევროპულ სპორტად უნდა მივიჩნიოთ ბრიჯი. წინათ ბრიჯში ყველაზე დიდ წარმატებას ინგლისელები აღწევდნენ, ახლა კი ამ სახეობის პოპულარობის ეპიცენტრმა იტალიაში გადაინაცვლა. ბრიჯი გუნდური თამაშია და ამიტომაც ვლინდება მხოლოდ გამარჯვებული კოლექტივი. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის ტიტული შარშან როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის იტალიელებმა დაისაკუთრეს.

გოლფი წარმოიშვა ბრიტანული გაჯლენის ქვეყნებში, მაგრამ მსოფლიო ბეგემონია სპორტის ამ სახეობაში სულ მალე ხელთ იგდეს ამერიკელებმა. შეერთებულ შტატებში არსებობს მხოლოდ პროფესიული გოლფი, ევროპაში კი — სამოყვარულო. მსოფლიოს ჩემპიონია პირად ჯათვლაში მილერი (აშშ), გუნდურში — აშშ-ს ერთ-ერთი კლუბი. ევროპულ გოლფში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის ინგლისელები პირველობენ, ევროპის თასი კი შარშან შოტლანდიელებმა მოიგეს.

იგივე ითქმის კრიკეტზე, ოღონდ ერთი განსხვავებით: მას საკმაო გატაცებით თამაშობენ ავსტრალიაშიც. შარშან მოეწყო მხოლოდ ქალთა მსოფლიო თასის გათამაშება. გამარჯვება დიდი ბრიტანეთის სპორტსმენებს ხვდათ.

ევროპელთა მთლიანი უპირატესობა იგრძნობა აგრეთვე, კეგლიში. შარშან ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა კარტერი (დიდი ბრიტანეთი), გუნდური ასპარეზობა კი შვეიცარმ მოიგო. ევროპის ჩემპიონის ტიტულს ქალთა შორის უკვე მესამე წელია არ თმობს ავსტრიელი შუსტერი. ამ ქვეყნის ნაკრებმა მოიგო კონტინენტის გუნდური ჩემპიონატიც.

მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულია გორგოლაჭიანი ციგურებით სრიალიც. ამ სახეობაში ცალკე ტარდება მსოფლიო ჩემპიონატი, ცალკე — ევროპის ჩემპიონატი და თასის გათამაშება. ვაჟთა ერთეულებში შარშან მსოფლიოს ჩემპიონი დვინეი (აშშ) გახდა, ქალთა ტურნირი კი მიულენბახმა (გფრ) მოიგო. წყვილთა სრიალში საუკეთესო შედეგი ჰქონდათ ამერიკელებს ჰენდიზაიდსა და სტოვალს, ცეკვაშიც უძლიერესნი ამერიკელები იყვნენ — ბურაკინი და სეფენნი. გუნდური მსოფლიო პირველობა აშშ-ს ნაკრებმა მოიგო. 1973 წელს ევროპის ჩემპიონატი არ გათამაშებულა, სამაგიეროდ, მოეწყო ასპარეზობა კონტინენტის თასზე, რომელიც მოიგეს: ვაჟებში — ლინარდმა (შვეიცია), ქალებში — ლაგუნამ (ესპანეთი), წყვილებში — ენგსტმენმა და მასტეტიმ (იტალია).

დაბოლოს ერთ, წმინდა იაპონურ სპორტის სახეობაზე, რომელიც, ძიუდოსი არ იყოს, კარგად შეითვისეს ევროპელებმა, განსაკუთრებით კი ფრანგებმა. ესაა შეჯიბრება კარატეში, ძიუდოს, უფრო სწორად კი ჯიუჯიცუს ყველაზე მკაცრ და უხეშ ვარიანტში. ევროპის შარშანდელ ჩემპიონატში ყველა წონაში ფრანგებმა გაიმარჯვეს. ჩემპიონები გახდნენ: მსუბუქ წონაში — პაში, საშუალოში — ჯალიფაკსი, მძიმეში — ჰტიდემაი, აბსოლუტურში — დიდიე, გუნდურ შეჯიბრებაში — საფრანგეთის ნაკრები.

„ᲡᲐᲯᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡᲐᲨᲘ...

ᲜᲝᲠᲛᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲩᲐᲙᲑᲐᲠᲔᲡ

თერჯოლაში ჩატარდა ახალგაზრდობის სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, შაშში, ტყვიის სროლაში და მძლეოსნობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა რაიონის 21 ფიზკულტურული კოლექტივი.

შეჯიბრების პერიოდში ჭაბუკთა თანრიგის ნორმატივი 193 ახალგაზრდამ შესრულა. 200-მდე მოსწავლემ ჩაბარა მშდ კომპლექსის მეორე და მესამე საფეხურების ნორმატივები მძლეოსნობაში.

ა. ჩარექიშვილი,
თერჯოლის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ

საქართველოს ალკა ზესტაფონის რაიონისა და ბავშვთა სპორტული სკოლის თაოსნობით მოეწყო ქალთბურთელთა რაიონული ტურნირი. ასპარეზობაში მონაწილეობდა ჭაბუკთა 12 გუნდი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქალაქის მე-4 საშუალო სკოლისა (რუსული სექტორი) და ზესტაფონის რაიონგზის № 7 საშუალო სკოლის გუნდები. გაიმარჯვეს მეოთხესკოლელებმა — 89:65. კარგი თამაშით თავი გამოიჩინეს პ. ლესნიაკმა, თ. კვატაიამ, ვ. ჯუღელმა.

ა. ᲒᲐᲜᲣᲒᲠᲐᲫᲔ.

ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲔᲑᲐ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა: **ფეხბურთში** — დ. გოგიას (თბილისის „დინამო"); **კლასიკურ ჭიდაობაში** — დ. ბაქრაძეს, მ. მორჩილაძეს (ორივე — თბილისის „ბურევესტნიკი"), მ. კუსიანს (თბილისის „სპარტაკი"); **ძალოსნობაში** — ა. ლობჟანიძეს, ე. დვალს (ორივე — თბილისის „ბურევესტნიკი"); **საცხენოსნო სპორტში** — ზ. ჯიქიას, გ. კალანდაძეს (ორივე — ჩოხატაურის „კოლმეურნე"); **მშვილდოსნობაში** — თ. ტოროტაძეს (ხელვაჩაურის რაიონის „კოლმეურნე"), ნ. ლეკაშვილს (თბილისის „განთიადი"); **მთამსვლელობაში** — გ. ახვლედიანს (ქუთაისი); **სახანძრო-გამოყენებითს სპორტში** — მ. სარხანიძეს (ბათუმის „დინამო"); **თავისუფალ ჭიდაობაში** — ვ. იმერლიშვილს (თბილისის „შრომითი რეზერვები"), დ. მორგოშიას, თ. მერმანიშვილს (ორივე — თბილისის „ბურევესტნიკი"), ვ. გუმბერიძეს, ჯ. კოტორაშვილს (ორივე — თბილისის „სპარტაკი"); **სამბოში** — გ. ჩორჩიშვილს, ი. ასპანაძეს, გ. წიკლაურს (სამივე — გორის „განთიადი"), ნ. ავალიანს (ქუთაისის „განთიადი"), დ. ბასილაშვილს (თბილისის „განთიადი"); **ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში** — გ. ლაგვილავას (ფოთის „ვოდნიკი"); **წყალში ხტომაში** — ლ. კაზანცევას (თბილისის „ბურევესტნიკი"), ნ. კალაშნიკოვას (სოხუმის „დინამო"), ნ. კუპრიანოვას (თბილისის „განთიადი"); **კალათბურთში** — ა. შაკარიანს, ლ. კოროვკინას (ორივე — თბილისის „ბურევესტნიკი"); **ტანვარჯიშში** — დ. ხიზანიშვილს (თბილისის „დინამო"), ი. მუზაშვილს (თბილისი, განათლების სამინისტრო), ლ. ჩერნოგლაზოვას (თბილისის „ლოკომოტივი"); **აკრობატიკაში** — ვ. გურიელს (თბილისის „ბურევესტნიკი"); **რეგბიში** — ნ. ბუგანიშვილს (თბილისის „დინამო"); **ფარიკაობაში** — დ. დავითაშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი"); **თანამედროვე ხუთჭიდში** — ვ. გომილკოს (თბილისის „დინამო").

ᲛᲐᲡᲙᲘᲜᲫᲚᲔᲑᲛᲐ ᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡ

გორში ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების რესპუბლიკური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 22 გუნდი. ჩემპიონის წოდება მოიპოვა გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტსმენთა კოლექტივმა. II ადგილი დაიკავეს ლაითურელმა მოჭიდავეებმა, III — ამბროლაურის წარმომადგენლებმა.

გამარჯვებული კოლექტივი მოინაწილეობას მიიღებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების საკავშირო პირველობაში, რომელიც გროზნოში ჩატარდება.

ე. კოშაკაძე,
გორის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენს შორის დარჩეს, ქალებო!..“



სულაც არ მინდა, ჩემი სიტყვები რაღაც რეცეპტებად მიიღოთ და ამის მიხედვით გადაწყვიტოთ, რაა კარგი და რა — ცუდი. დამერწმუნეთ, რეზონიორობისგან შორს ვარ და მენტორულ ტონს საერთოდ ვერ ვიტან.

მოდით, შევთანხმდეთ: უბრალოდ ვილაპარაკოთ სპორტზე. კარგით? ვცადოთ ერთად გავერკვეთ ერთ არცისე მარტივ პრობლემაში — სპორტთან ურთიერთობის რომელი სახე უნდა ჩაითვალოს ოპტიმალურად. ჩვენთვის, და ალბათ არა მარტო ჩემთვის, ეს ფუჭი შეკითხვა არ არის. გარდა ამისა, მე სულაც არ მინდა თქვენი გასაართობ ტალღაზე გადაყვანა.

იმედი მაქვს, დიდი სპორტის ციფერ ბილიკებზე ასპარეზობის პერიოდში დაგროვილი გამოცდილება უფლებას მაძლევს ვილაპარაკო ამ თემაზე. თუმცა წინასწარ მინდა საუბრის ჩარჩოები შევავიწროო და, მაპატიონ მამაკაცებმა, მივმართოთ მხოლოდ „ფიზკულტურა ი სპორტის“ მკითხველ ქალებს.

მე საკმაოდ ადრეულ ასაკში დავიწყე ცურვაში ვარჯიში და ასევე ადრე მივაღწიე წარმატებებს — ვიყავი ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონიც, მსოფლიო რეკორდსმენიც, ვიმარჯვებდი ოლიმპიურ თამაშებშიც, და ადრე მივატოვე სპორტში აქტიური მეცადინეობაც. მიუხედავად ამისა, დღესაც სპორტსმენად მიმაჩნია თავი, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, ისევ იმ წვენში ვიხარშები. სპორტული წარსული ბევრ რამეში დღემდე განსაზღვრავს ჩემს ბედს; ბევრ რამეში ამ წარსულს ვუკავშირებ ჩემს მომავალსაც. სხვათა შორის, სპორტმა გარკვეული გავლენა მოახდინა პროფესიის არჩევაზეც: უნივერსიტეტში სამართლის ფაკულტეტი დავამთავრე, მაგრამ მერე სპორტული ჟურნალისტი გავხდი, ტელევიზიის კომენტატორად ვმუშაობ.

მე, როგორც ქალებისთვის განკუთვნილი ყოველკვირეული სატელევიზიო მიმოხილვის ერთ-ერთ დიქტორს, ხშირად მიხდება პასუხის გაცემა ქალიშვილებისა და მათი დედების წერილებზე. ისინი რჩევას მთხოვენ და იმედი აქვთ, რომ სწორი გზით წარმართავენ სპორტთან დაწყებულ მეგობრობას. როგორც წესი, ყველა მათგანს აღელვებს ერთი საკითხი — სასარგებლოა თუ არა სპორტში აქტიური მეცადინეობა ქალებისთვის, ახდენს თუ არა დიდი ფიზიკური დატვირთვა გავლენას მათს გარეგნულ მომხიბვლელობაზე, ხომ არ აუხამებს ეს დაძაბული, სისტემატური ვარჯიში ნაკვთებს? მე ვფიქრობ, კაცობრიობის მშვენიერი ნახევრის წარმომადგენლები საბჭოთა კავშირშიც ზრუნავენ იმაზე, რომ მუდამ მშვენიერნი დარჩნენ. სპორტის მიმზიდველი ძალა გარკვეულ ეჭვს ბადებს. ყოველ შემთხვევაში, მოსკოვში ყოფნის დროს ბევრჯერ მიმიღია მონაწილეობა ამ თემაზე გაჩაღებულ კამათში და ახლა ჟურნალის ფურცლებზე მინდა შევაჯამო ეს დისკუსიები.

გადაჭარბება ყოველ საქმეში საზიანოა და სპორტში მეცადინეობის სირთულეზე ლაპარაკს უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად სწორედ ეს გადაჭარბება, აშკარა გადახრათა უაზრობა უდევს. რაც თავი მახსოვს, ჩემს ირგვლივ წყალს ვხედავდი, მაგრამ კორესპონდენტებისთვის ერთხელაც არ მითქვამს, აუზში გავიზარდე-მეთქი. არა, ჩემთვის აუზი იყო აუცილებელი ატრიბუტი ჯერ ბავშვობისა, შემდეგ სიყმაწვილისა. მე მას ბევრ თავისუფალ დროს ვწირავდი და წყალთან ყოველი შეხვედრა ნამდვილ კმაყოფილებას, ჭეშმარიტ სიხარულს მანიჭებდა.

მე დიდად მადლიერი ვარ ჩემი მშობლების გონიერებისა, რომელთაც შემაყვარეს წყალში თამაში და ჭკვიანურად იყენებდნენ ამ თამაშის ხალისიან ტონუსს, სანამ მე ცურვის ანბანს ვსწავლობდი. ჩემს პირველ მწვრთნელთან ერთად მათ სპორტის, დასვენებისა და სწავლის უაღრესად ზუსტ დოზირებას მიაგნეს. მე ამ დოზირების დაცვას ვცდილობდი შემდეგშიც, როცა უკვე დამოუკიდებელი გავხდი.

რა თქმა უნდა, წლებთან ერთად საჭვრთნელი მეცადინეობების დატვირთვაც გაიზარდა — დიდი სპორტი დიდ შრომას მოითხოვს. მაგრამ სწორედ აქ დამეხმარა წლების მანძილზე გამომუშავებული ჩვევა განსაზღვრული, თუნდაც ძალზე მკაცრი რეჟიმის დაცვისა. მე მუდამ ვპოულობდი დროს ჩემი თავისთვის. სპეციფიკურ, მხოლოდ ცურვისთვის გამოსაყენებელ ვარჯიშებთან ერთად არც ჩვეულებრივ გამაჯანსაღებელ ტანვარჯიშს ვივიწყებდი. ამან ჩემს ფიგურას წონასწორობა შეუნარჩუნა, პროპორციულად განვითარების საშუალება მისცა.

იმაზე, თუ რამდენად მიმზიდველი ქალი ვარ, მე, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვიტყვი. ეს სხვებმა უნდა განსაჯონ. არც კაცების გულუბრ ქათინაურებს ვუჯერებ მაინდამაინც — რატომღაც მათში სიყმაწვილეში მოპოვებულ სპორტულ გამარჯვებათა გამოძახილი მესმის. მაგრამ ერთი რამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: მე სპორტმა შემქმნა, ჩამინერგა ხალისი, საკუთარი ძალის რწმენა და ენერგია, რაც ესოდენ საჭიროა ყოველი ახალგაზრდა ქალისთვის.

ლაპაზ ქალზე ხშირად იტყვიან ხოლმე, რა ნაზია, **რა სუსტიაო**. ამ სიტყვებში, მამაკაცის გულს აგრეიგად რომ ესალბუნებიან, იგულისხმება ის განსაკუთრებული მიმზიდველობა, ის ქალურობა და უმწეობა, რომელსაც იგი, მამაკაცი, უნდა იცავდეს და უფრთხილდებოდეს. დამეთანხმებით, სპორტი, რომელიც პირველ ყოვლისა კუნთების ძალას და რეაქციის სისწრაფეს ავითარებს, დიდი ვერაფერი გზაა ქალური სინაზის შენარჩუნებისა.

დიახ, რა თქმა უნდა, სპორტულ სექციაში მეცადინეობა ჯანს უმაგრებს პატარა გოგონას, რასაკვირველია, სპორტი ავითარებს ბავშვის სხეულს, მაგრამ დიდი ხნის მანძილზე, მრავალწლის გამეორებული ფიზიკური დატვირთვა უთუოდ დატოვებს თავის კვალს. ასე ფიქრობენ დედები და მეც სავსებით ვეთანხმები მათ.

მე შევხვედრივარ ცნობილ სპორტსმენ ქალებს, რომლებიც სპორტულ სარბიელზე უდიდეს წარმატებებს აღწევდნენ, მაგრამ გარეგნული მომხიბვლელობა დაკარგული ჰქონდათ. მათ ერთხელვე, შეიძლება სპორტული კარიერის დასაწყისშივე გადააბიჯეს რაღაც მიჯნას ისე, რომ თავად ვერც კი შენიშნეს ეს. მიუხედავად ამისა, არ მინდა მათი სახელები მოვიყვანო მაგალითად, ჩემთვის ესოდენ მნიშვნელოვან საუბარში, არ მინდა ტიპობრივი ვუწოდო ამ მაგალითებს.

გაცილებით ბევრნი არიან საქვეყნოდ სახელგანთქმული სპორტსმენი ქალები, რომელთაც აქტიურმა ვარჯიშმა არა მარტო შეუნარჩუნა ქალური მომხიბვლელობა და სილამაზე, არამედ კიდევ უფრო შემატა მშვენებაც და სინაზეც. საკმარისია გავიხსენოთ შესანიშნავი საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ლარისა ლატინინა და პოლინა ასტახოვა, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე მთელ მსოფლიოს აღფრთოვანებდნენ არა მარტო თავიანთი სპორტული მიღწევებით, არამედ სილამაზით და წმინდა ქალური მომხიბვლელობითაც; საკმარისია ერთხელ ნახოთ მათი ნორჩი მოწაფეების ლიუდმილა ტურიშჩევას და ლიუბოვ ბურდას გამოსვლები, ნახოთ ნადეჟდა კოლესნიკოვას ან ფინელი ჩემპიონის მონა ლიზა პურსიაინენის მსუბუქი სირბილი, ნახოთ ჩემი მეგობარი კეტი კარი ან იტალიელი მოფარიკავე კაროლა მანჯაროტი, რომელსაც მოსკოვში „მის უნივერსიადა“ უწოდეს; საკმარისია გაიხსენოთ, როგორ გაუჭირდა ბევრ ჩემს კოლეგას — ჟურნალისტ ვაჟს საერთაშორისო სტუდენტურ თამაშებზე თავმოყრილ მომხიბვლელ პრეტენდენტთა შორის ერთ-ერთის ამორჩევა ამ ტიტულისთვის.

სპორტს სილამაზე უდევს საფუძვლად, სხეულის, მოძრაობის, პლასტიკის სილამაზე. ჩვენ, ქალებმა, ეს არ უნდა დავივიწყოთ. სპორტი გონივრული საქმეა და გონივრულ დამოკიდებულებასაც მოითხოვს. ჩხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება იგი თქვენი ერთგული შემწე და მეგობარი, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოგიტანთ ნამდვილ სიხარულს.

სპორტი მარად ახალგაზრდაა. მაგრამ სპორტთან მეგობრობა, ჩემი აზრით, ასაკით ლიმიტირებული არ არის. ეს მეგობრობა ბავშვობაში იღებს სათავეს, მაგრამ მას ძალუძს მთელი ჩვენი ცხოვრების გზა მზის ფერებით გაანათოს.

მე ჯერ გაუთხოვარი ვარ. არ ვიცი, მალე გადავწყვეტ თუ არა ამ ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ ოდესმე მეც მეყოლება შვილები და ამიტომ უკვე ვფიქრობ იმაზე, თუ რა გზით, როგორ დავუკავშირო ისინი სპორტს. ეს კავშირი კი, დარწმუნებული ვარ, უთუოდ იქნება. რა თქმა უნდა, ეს მე სხვა დედებზე უფრო გაჩიადვილდება: მრავალი ასპარეზობისა და სპორტული სიყმაწვილის გამოცდილება დამეხმარება.

მაშ ასე, ჩემი ქალიშვილი უსათუოდ უნდა ცურავდეს. იგი სპორტსმენი უნდ იყოს. მე შემიძლია უკვე დაგარწმუნოთ ამაში და გაგიმხილოთ კიდევ ზოგიერთი საიდუმლო, ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს ჩვენ შორის დარჩეს, ქალებო!

ცურვა — მე ოლიმპიური ჩემპიონი გასლდით სპორტის ამ უმშვენიერეს სახეობაში — ყველაზე ჰარმონულად ავითარებს ქალს. აუზში ვარჯიში ხელს უწყობს კუნთების ელასტიკურობას, ამაგრებს ბიცეფსებს, აკაკუებს სხეულს. თუ გნებავთ, ეს ვარჯიში ხელს გვიწყობს, რომ დიდხანს შევინარჩუნოთ ქალური სინაზე და... სისუსტე, დავრჩეთ, მართალია, არა უმწეონი, მაგრამ ჩემი აზრით, საკმაოდ მიმზიდველნი. თანაც, მე ვფიქრობ, უმწეო ქალების დრო დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა. თქვენ რას იტყვით, მეთანხმებით თუ არა, ძვირფასო მკითხველებო?

დონა დე ვერონა,

ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი, ამერიკის ტელევიზიის მიმომხილველი.

ჟურნალი „ფიზკულტურა ი სპორტ“, 1973 წ., № 11.

• • •

სურათზე: დონა დე ვერონა ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე.

ბრიტანული თაბაშეგის სტარტი

კრაისტჩერჩი, 27 იანვარი. ახალი ზელანდიის ამ ქალაქში სტარტი აიღო ბრიტანულმა თამაშებმა, რომელშიც 38 ქვეყნის 1600 სპორტსმენი გამოდის. პირველსავე დღეს მოეწყო შეჯიბრება 10000 მეტრზე რბენაში. სტადიონზე შეკრებილი 25 ათასი მაყურებელი ქომაგობდა თანამემამულეს, 25 წლის ფერმერ დიკ ტეილორს, რომელსაც პირველი ადგილისთვის ბრძოლაში მეტოქეობას უწევდა ინგლისელი დ. ბლეკი. ამ სპორტსმენებს შორის უკანასკნელ წრეზე ისეთი შეუპოვარი ჭიდილი გაიმართა, რომ გარბენის ერთ-ერთ მსაჯს ფინიშის მომენტში აღელვებისგან გული გაუსკდა. ახალზელანდიელმა მაინც პირველმა დაამთავრა დისტანცია — 27.46,4. ფინიშთან მეორე მივიდა ბლეკი — 27.48,6. III ადგილი დაიკავა კენიელმა დ. ჯუმამ — 27.57,0. მსოფლიო რეკორდსმენი, ინგლისელი დ. ბედფორდი, რომელიც 7 კილომეტრის მანძილზე ლიდეროობდა გარბენს, უკანასკნელ წრეზე ჩამორჩა და 44 წამი წააგო გამარჯვებულთან.

ხუთჭიდში ოქროს მედალი დაისაკუთრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. პიტერსმა (ჩრდილოეთ ირლანდია). მისი შედეგია 4.455 ქულა. უოსტ ტყორცნაში იმარჯვა ინგლისელმა ი. ჩიპჩეიზმა — 69,56 მ.

მეორე დღეს ბედმა გაუღიმათ კენიელ სპორტსმენებს. ფ. კიმაიომ მოიგო 110 მეტრზე თარჯრბენი — 13,7, ჩ. ასატომ — 400 მეტრზე რბენა — 46,0, 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში პირველი იყო მსოფლიო რეკორდსმენი ბ. ჯიპჩო — 8.20,6. დიდი წარმატება ხვდა წილად კანადელ სტუდენტ ქალიშვილს ჯ. ჰეისტს, რომელმაც ოქროს მედლები მოიპოვა ბადროს ტყორცნასა (55,52 მ) და ბირთვის კვრაში (16,12 მ). ავსტრალიელი სპრინტერი ქალი რ. ბოილი პირველი იყო 100 მეტრზე რბენაში — 11,3.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლენინი“

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მეშანქანეთა ბიური — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49

ხალვა

რიგერას პროტესტი

ცნობილმა იტალიელმა ფეხბურთელმა ჯანი რივერამ კვლავ განაცხადა, ჟურნალისტებთან კავშირს საბოლოოდ ვწყვეტო. ჟურნალისტები არ არიან სერიოზული დამოკიდებულებისა და საუბრის ღირსნი, — თქვა აღელვებულმა რივერამ, — მოთმინების ფიალა ამევსო. ყოველ ჩემ სიტყვას თავის ნებაზე ატრიალებენ და უკავშირებენ ისეთ ამბებს, რაზეც მე წარმოდგენაც არა მაქვს. სამწუხაროდ, საკუთარი გაზეთი არა მაქვს, რომ პასუხები გამოვაქვეყნო, და მკითხველებს ჩემი ნამდვილი აზრები გავაგებინო.

რივერას უკმაყოფილება გამოიწვია მილანის ერთ-ერთ ყოველკვირეულ გაზეთში დაბეჭდილმა ინტერვიუმ — „რივერა აკრიტიკებს „იუვენტუსისა“ და „ინტერის“ პრეზიდენტებს“.

„ისეთ რამეებს მომაწერენ, რასაც ჩემ სიცოცხლეში არ ვიტყოდი. მე ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ კლუბების თამაშობრივებისა და დანარჩენი თანამდებობის პირების შეხედულებები ფეხბურთელების აზრს არ ემთხვევა, ჩვენ შორის მჭიდრო კონტაქტი და ერთსულოვნება არ არსებობს. განა ასე არ არის? მოიძებნება კი კლუბი, სადაც ეს საკითხი მოგვარებულია?“

ჰიპნოტიზებული რივა

იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ცნობილი თავდამსხმელი ჯიჯი რივა ამ ცოტა ხნის წინათ თავგამოდებული მწეველი იყო: მის დღიურ საშუალო ნორმას შეადგენდა 50-60 სიგარეტი. შემდეგ ჯიჯი ინკოგნიტოდ (სინიორ ავალას სახელით) გაემგზავრა განთქმულ სპეციალისტთან ციურიხში და იქიდან დაბრუნების შემდეგ თამაშობს აღარ გაჭკარებია. მაგრამ ყველაზე საინტერესოა ამ წარმატებით დაგვირგვინებული მკურნალობის მეთოდი: არც მეტი, არც ნაკლები (როგორც თვითონ რივა ამტკიცებს) — ჰიპნოზი.

ნომრები შეეშალათ...

გფრ-ის ნაკრების ნახევარმცველი წეცერი, რომელიც თავის სამშობლოში ორგზის აღიარეს წლის საუკეთესო ფეხბურთელად, ამჟამად მადრიდის „რეალში“ თამაშობს და მაინცდამაინც დიდი წარმატებით ვერ დაიკვეხნის. მიუხედავად „ტაგესეაიტუნგის“ რეპორტიორთან საუბარში ნეცერმა თქვა: „რეალში“ ძალიან ბევრი გამთამაშებელი ფეხბურთელია, იერიშის დაგვირგვინება კი ძალიან ცოტას შეუძლია. კლუბის მესვეურებს ნომრები შეეშალათ: ჩემს მაგიერ მიულერისთვის უნდა მიემართათ“.

ყოველი მხრიდან

სპიტცის ახალი გადაწყვეტილება

როგორც ცნობილია, ამერიკელმა მოცურავემ მარკ სპიტცმა მიუნიხენის ოლიმპიურ თამაშებში შვიდი ოქროს მედალი მოიპოვა. მას შემდეგ, როგორც თვითონ ამბობს, ეს ცნობილი ამერიკელი სპორტსმენი საცურაო აუზს აღარ გაჰკარებია. ამ დღეებში კი სპიტცმა „ნიუ იორკ დეილი ნიუსის“ რეპორტიორს განუცხადა: გადაწყვეტილი მაქვს მონაწილეობა მივიღო მომავალ ოლიმპიურ თამაშებში, ოღონდ ამჯერად აფრიკი ნავებით შეჯიბრებაში გამოვალო.

3000 ფრანკს მოითხოვს!

როგორც ფრანგული სპორტული გაზეთი „ეკიპი“ იუწყება, ევროპის № 1 ფეხბურთელად ხელმეორედ აღიარებული ჰოლანდიელი ი. კრუიფი ვრცელი საუბრისთვის... 3000 ფრანკს მოითხოვს. „ეკიპი“ აქვეყნებს იუმორისტულ მასალას იმის შესახებ, რომ თუ კრუიფს მხოლოდ 100 ფრანკს გადაუხდით, მარტო ამას შეიტყობთ: „დავიბადე მედონში 1950 წლის 17 აპრილს, 78 კილოგრამს ვიწონი, ჩემი სიმაღლეა 180 სმ. აქვე დავიწყე თამაში“. 500 ფრანკად შეიძლება უფრო მეტი ამბის შეტყობა, დეტალებს კი მხოლოდ მაშინ გაიგებთ თუ 1000 და 2000 ფრანკს გადაიხდით („ეკიპი“ აქვეყნებს სათანადო იუმორისტულ ტექსტებსაც). 3000 ფრანკად შეიძლება უკვე საინტერესო ინტერვიუს აღება.

არც წარსულის და არც თანამედროვეობის რომელიმე გამოჩენილ ფეხბურთელს ინტერვიუსთვის გასამრჯელო ჯერ არ მოუთხოვია.